

ალმანახი

№ 7

თეატრი

მკითხველთა საყურადღებოდ
სალიტერატურო მხატვრული აღ-
მანანი დროგამოშვებით გამოვა სხვა.
და-სხვა სახელებით, ყოველგვარი მი-
წერ-მოწერა დასაბუქდი მსალები და
ფული გამოიგზავნება მხოლოდ ე-
ლერიან გუნთის სახელობაზედ შემდე-
გის მარტივის ადრესით:
Тифлиზь Валеріану Гунія.

◆ სალიტერატურო მხატვრული ალმანახი სურათები, ნახტიები და კარიკატურები. ◆



მაცდური.—სურათი ფ. ბიბერისა.

5830

ზამთარი

კვლავად ზამთარი,
სულ შემხუთავი;
ავსულთ ხარხარი,
ისმის საზარი;
ზუზუნებს ქარი,
გულის მქენჯნავი.



თოვლმა დაჰფარა
ტყე-მინდორ-ველი;
წყარო ანკარა,
დუნებს წყნარა;
დიც დაშკანარა,
გაუფურჩქენელი.

**
ს აღარ ილხენს,
ტურფა ბუნება;
ღბული არ სტვენს,
თარი გულს სტვენს
არც სუნელს ჰფენს
ყვავილთა კრება.

ირგვლივ სიბნელე
მეფობს ყველგანა.
ღმერთო, გვიშველე!
წყვდიად-სიძნელე,
გთხოვ, გაანელე,—
იხსენ ქვეყანა.

**
ნუ თუ გაზაფხულს
ველარ შევხვდები?
და მრავალ ტანჯულს,
ჩემს ტურფა მამულს,
იმედით შემკულს
ვერ ვედირსები?!

ი. გრიშაშვილი



ქართული თეატრის მომავალი.

სეზონი გააუვდა. თუ კიდევ რამდენიმე პიესას დადგამენ ქართულ სცენაზე სეზონის გაგრძელებაში, იმედი მაინც არ გვაქვს, რომ რაიმე ახალი, შესანიშნავი, შეიტანონ ქართულ სასცენო ხელოვნებაში.

ქართულს სეზონს ახასიათებდა ჩვეულებრივი უსისტემობა, არტისტების მოუმზადებლობა, ანსამბლის უქონლობა, ერთი და იმავე პიესის განმეორება. ერთადერთი სასიამოვნო გაუმჯობესების მხოლოდ დეკორაცია იყო: დეკორატიული მხარე მართლაც რომ სასურველად მოაწყო ბ. ყანჩელმა. მაგიერად სხვა მხარეები, როგორც ვთქვით, ძლიერ და ძლიერ კოჟლობდა.

ჯერ ერთი არ შეიძლება 14 წარმოდგენიდან პატრიოტულ გრძობათა აღმძვრელ პიესებს დაეთმოს 7 (არა ნაკლებ შეიძლება, შეიძლება რვა იყო, კარგად არ მახსოვს.) ყოველი ჩვენგანი, გარდა ქართველობისა, გრძობს სხვა და სხვა ოჯახებრივ და მოქალაქეობრივ მოვალეობას და მიღრეკილებას და სურს, მაშასადამე, სცენაზე ნახოს მათი მხატვრული გამოქვეყნება.

სეზონის დასაწყისში სიამოვნებით ვგვგებობოდი, რომ ახალს რეჟისორს წინააღმდეგ ზოგიერთების სურვილისა ადგილი დაეთმო ისეთის პიესებისთვისაც, როგორც არის „ლალატი“, მაგრამ, ვიმეორებ, მთელი სეზონის 1/3 დათმობა მათთვის შეუძლებელია. მეტის მეტი, თავის რეტიო, — ნათქვამია.

უნუგეშო მდგომარეობა ქართული თეატრის გვაძულებს ჩველას ამ საგანს ძლიერ ჩაუკვირდეთ და შეძობებისდაგვარად დახმარება გაუწიოთ მატერიალურად იქნება თუ სულიერად.

როცა ევროპიელი მიდის თეატრში, მას მხოლოდ ერთი სურვილი აქვს, ესტეტურად დატკბეს და ყოველდღიურ ჭირ-ვარამით დაქანცულმა რამდენიმე საათით მაინც დაისვენოს. სხვა რაიმე მიზნით თეატრში არ წაევა ევროპიელი, რადგან სხვა მისწრაფებებს სხვა დაწესებულებანი აკმაყოფილებენ.

რუსეთის შეხუთული ცხოვრება აიძულებს მსმენელს თეატრში გარდა მოსვენებისა, ესტეტური სიამოვნებისა, გონების განვითარებაც ეძიოს.

ჩვენში, საქართველოში, კი ამ თეატრის დანიშნულებებს კიდევ ემატება ერთი და შეიძლება უდიდესი მიზანი — **ენის შენახვა, ენის დემონსტრაცია.**

რა ვიმოქმედეთ გასულ სეზონში ასეთის მრავალმნიშვნელოვან დაწესებულებისათვის, როგორც არის ჩვენის აზრით თეატრი.

ა რაფერი!

არტისტების უმრავლესობა სუსტობდა. მათი განვითარებისთვის საჭირო იყო ყურადღება მიექცია არა მარტო რეჟისორებს და დრამატიულ საზოგადოებას, არამედ ჟურნალ-გაზეთებსაც და ინტელიგენციას. ჩვენს სცენაზე მუშაობს ზოგიერთი ნიჭიერი არტისტი, რომელსაც უცხო ენა იმდენად არ ეხერხება, რომ თამამად ისარგებლოს; ზოგიერთმა არც კი იცის რა საშუალებას მიმართოს, თავის ხელობის შესასწავლად. ინტელიგენცია, ჟურნალ-გაზეთობა ლექციების მოწყობით, თუ საბუთიანი სასცენო ხელოვნების შესახებ წერილების დაბეჭდვით უნდა დახმარებოდა მათ! მაგრამ მთელი წლის განმავლობაში ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში არ გაუჩნდიათ არც ერთი დრამა, არ განუხილავთ არც ერთი ტიპი, არ ყოფილა ბაასი არც სცენის ისტორიაზე, არც მის აწევა მდგომარეობაზე.

მგონია, რომ ვისაც გული შესტკივა ქართულ თეატრისათვის დღეიდანვე უნდა შეუდგეს ამ დანაკლისის შეგებას, რათა მომავალ სეზონში ორისამი მოსაზრების შეტანა მსახიობთა წრეებში მაინც მოესწროს.

საჭიროა დრამის ისტორია, სხვა და სხვა ტიპების გარჩევა, დიდ მსახიობთა მანერებისა და ცხოვრების შესწავლა, პლასტიკის ძირითადი კანონების გადმოცემა, მიმიკისა და გრიპის შესწავლა და ათასი სხვა. ყველა ეს საკმაოდ არის გამოკვეთილი რუსეთისა და უცხო ქვეყნების მწერლობაში და მათი თარგმნა, თუ გული გულობს არაა საძნელო. ჩვენი რედაქცია სიამოვნებით დაუთმობს ასეთს წერილებს, ნათარგმნსა თუ ორგინალურს, აღმანახის ფურცლებს.

მაგრამ სულიერ საზრდოს მხოლოდ მაშინ აქვს მნიშვნელობა, როცა კუჭი ოდნავ მაინც დაკმაყოფილებულია. ქართველ არტისტებს კი, შეუძლებელია, რომ არ შიოდესთ. სეზონი ქართული თეატრის სამი-ოთხი თვე გრძელდება და მსახიობთა უმრავლესობას თვეში 40-დან 50 მანეთამდე ეძლევა. საკვირველია რა გვარად ახერხებენ ჩვენი არტისტები ცხოვრებას?!

გასულ სეზონში ბევრი საუკეთესო ქართველი მსახიობი ან სრულიად არ იღებდა მონაწილეობას წარმოდგენებში, ან და ძვირად გამოდიოდა სცენაზე. შეიძლება მათ მომავლისთვის აღვითქვან

მიტოვებულ სცენაზე მუშაობა და ესლავე უნდა გაგება, თუ როგორ და რაში გამოქვდავდებამაი სცენისადმი სიყვარული. თვით იუჟინსაც კი უნდა მრმართოს დრამატიულმა საზოგადოებამ. ვინ იცის, იქნებ, რამოდენიმე ხნით ჩამოვიდეს და თავის ავტორიტეტით, სცენის საქმის ცოდნით სიღრულეში მოიყვანოს ის სურვილი რომელიც, როგორც აქა იქ ხმა დადას, ცრემლებს აფრქვევინებს თურმე: ქართულ საქმეს მეც მინდა რამე შევიძინოვო. განა არ შეიძლებოდა დრამატიულ საზოგადოებას ბ. იუჟინისთვის თხოვნით მიემართნა, რომელიმე სცენის დარგისთვის სახელმძღვანელო შეედგინა? თარგმნით ვინმე გადათარგმნიდა, და თუ ცალკე წიგნად არ მოხერხდებოდა, ჟურნალში, ან გაზეთში მაინც დაიბეჭდებოდა.

გარდა უკვე ცნობილ არტისტებისა დრამატიულმა საზოგადოებამ მხურვალედ უნდა შეუდგეს ახალი ძალების შემოკრებას. მაგალითად, კორესპონდენტები პროვინციიდან გვაწვდიდენ ცნობებს, რომ აქ ნაქიერი სცენა მოტრფივალე გამოჩნდაო, იქ მუყაითი შრომა შევნიშნეთ მსახიობსო. ამ კორესპონდენტებიდან ათში ერთი გამოდგება მართალი და უტყუარი, მაგრამ იმ ერთსათვისაც ღირს ძებნა-კვლევა. აგრეთვე დრამატიულ კურსებზე, როგორც თფილისში, ისე უცხოეთში არიან შეგირდები, მათთან გაცნობა და მათი, თუ მოსახერხებელი იქნა, მოწვევა გააძლიერებს ჩვენს სცენას...

როგორც ამდენმა ხანმა დაგვარწმუნა რამდენიმე ტრუპის ყოლა ქარაველ ერს არ შეუძლია. იმ ტრუპებიდან კი, რომელნიც საქართველოს სხვა და სხვა კუთხეში მუშაობდნენ ერთი რიგიანი ტრუპის შედგენა ბევრად უფრო შესაძლებელია. სრულიად არ არის საჭირო, რომ ეს ტრუპა მხოლოდ ერთს ქალაქს, თუნდაც თფილისს მივაკუთნოთ, მაგრამ უმთავრესი მოღვაწეობა თფილისში დარჩება. აქ ეცლება ფეხი ქართველობას და აქვე საჭიროა ძალების შემოკრება. მიუხედავად ამისა, იმავე არტისტებს შეუძლიათ მოთხოვნილებანი სხვა კუთხეების (ქუთაისის, ფოთის, ბათუმის) დააკმაყოფილონ ყოველ კვირეულ; რაც შეეხება ჩვენს კოლონიებს (ბაქო, კავკავი) და განაპირა ადგილებს (სუხუმში) იქ გასტროლებია უსათუოდ საჭირო დადმარხვაში მაინც. ზაფხულში კი სააგარაკო ადგილები, პროვინციის პატარა ქალაქები უნდა მოიაროს ჩვენმა ტრუპამ.

ერთის სიტყვით არტისტები თითქმის მთელი წლითაა საჭირო დავიქირავოთ. არ ვიცი, რომ სხვაგან საღმე მთელი წელიწადი მუშაობდეს ერთი

და იგივე ტრუპა, მაგრამ ჩვენი განსაკუთრებული პირობები გვაიძულებენ განსაკუთრებულად მოვაწყოთ ტრუპის საქმე. საქმე იმაში გახლავთ, რომ რამოდენიმე ტრუპის შედგენა, რომელნიც სხვა და სხვა ადგილას მართავდეს წარმოდგენებს შეუძლებელია ერთი ხეირიან მსახიობთა რიცხვის სიმცირის გამო და მეორე უსახსრობის გამო. ხოლო ტრუპამ რომ მოახერხოს ყველა კუთხეები მოიაროს, სადაც კი სცენის მოთხოვნილებაა, ათი თერთმეტი თვე მაინც მოუნდება.

ამ საქმისთვის საჭიროა დიდძალი ფული. მართალია. მაგრამ თუ შევეერთებთ იმ ჯამებს, რომელსაც ქუთაისისა და თფილისის დრამატიული საზოგადოებანი შოვილობენ, თუ მივმართავთ ყველა ჩვენ დაწესებულებებს (ბანკებს, ს. აზ. დეპუტატთა საკრებულოებს, ქალაქის თვითმპართველობებს) კერძო შეძლებულ პირებს არ მგონია, რომ ფული ვერ ვიშოვოთ. ყოველი საქმე ჩვენში ბოლოს და ბოლოს ქველმოქმედებაზე ამყარებს თავის იმედებსო, ღიმილით ჩაილაპარაკებს მკითხველი. არა ბატონო, ეს არ გახლავთ მართალი. ჩვენ ქართველები, პოლიტიკური დამონების გამო, ნებაყოფლობით, მხოლოდ ნებაყოფლობით ვიხდით იმას, რასაც სხვა თავისუფალ ქვეყნებში სახელმწიფო ახდევინებს მცხოვრებთ. თავისუფალ სახელმწიფოს შემოსავლის ერთი დიდი ნაწილი კულტურულ დაწესებულებებს ხმარდება, სხვათა შორის თეატრსაც. ჩვენი გადანახადი კი ქარს მიაქვს და, სანამ ქარი არ ჩაგვივდია, მეორეჯერ უნდა გავვიხადოთ უკვე გადახდილი. ჩვენი ქართველი მოღვაწეები და მათ შორის ქართველი მსახიობნი მზად არიან სილატაკეში, სიღარიბეში იმუშაონ და თუ მათ დავეხმარებით არა ქველმოქმედებითი გულუხვობით არამედ ჩვენივე სურვილის დასაკმაყოფილებლად. ქველმოქმედისგან იდგით გატაცებული ადამიანი მარგალიტსაც არ მიიღებს, ხოლო თანამოაზრიდან ერთი კაპიკიც ძვირფასია.

ამას ნებაყოფლობით ერთმანერთის დახმარება ჰქვია და არა ქველმოქმედება.

თანიმელო.

როგორც ჩემს გულში

მარტო ვიღადი, ნადვლიანი, მე არე-მარეს, ცა მოღრუბლული უიმედოთ ზედ დამსცქეროდა, მოჰფარებოდა შავი ნისლი ელვარე მთვარეს როგორც ჩემს გულში, ქვეყანაზედ ისე ბნელოდა. მარტო ვიღადი და სიცოცხლე მობეზრებული კვლავ სიცოცხლისთვინ დავიქვდი მე მისხა კვალსა,

აღმეგზნებოდა ვის დანახვიო ტანჯული გული,
ვის თაყვანს ვცემდი, თაყვანს ვცემდი ვის ნატერფალსა.

მარტო ვიღოდი და ნაღვლიან ქარის წუხილში
მესმოდა მის ხმა, ხმა მწუხარე და სევდიანი,
და ჩემთა თვალთა ხშირ ბურუსში, როგორცა ძილში
ელანდებოდა მის ხატება თვალ ცრემლიანი.

მისი დანახვა ოცნებაშიც მისხამდა ფრთებსა
და ინთებოდა ჩემსა გულში სიცოცხლის ალი,
თვალთგან ვაფრქვევდი დატანჯული შვეების ცრემლებსა
და კვლავ ვიყავი იმედებით მე ისევ მთვრალი.

შ. ქართველიშვილი

პრის სიმღერა

როს ბაღდი ვიყავ, მამილო,
სუსტობდა ჩემი ძალიაო.

დავხტოდი, არად მიმაჩნდა
ცრუ სოფლის ამოცანაო!

მაშინ მომიხმე, მითხარი.
შვილო, არ კმარა განაო,
დრო არის სწავლას შეუდგე
იკითხო, „ანა-ბანაო.“

განათლდე, გამიძლიერდე,
წინ იდგე ყოველგანაო,
მარად არჩევდე მოყვარეს
მამულის მტრებისგანაო.

გვერდს მომიჯექი, მასწავლე,
შემატკეპე მშობლის „ნანაო“!..
ავ-კარგსა ჩვენის ქვეყნისას
ვიგნებდი თან-და-თანაო.

წამოვიზარდე, დავხედე
სამშობლოს ტურფა მხარესა,
სად ხე ჰყვავოდა, ბუღბუღი
ნაზად უმღერდა არესა!..

მაგრამ... ამავ დროს, კაცთ შორის
ბოროტმა გაღიხარხარა...
შემზარა!.. სული აღშფოთა,
გულმა ითმინა აღარა.

დავგმე მისი ხმა საზარი,
ყურს მივიფარე ხელიო...
კეთილი ვსძებნე, შეიქმნა
ის ჩემთვის სანატრელიო.

ვიპოვნე... სიამით გავყევე,
ვერ მქანცა მისმა გზამაო, —
ყველა ეს შენ შთამაგონე,
ჩემო ძვირფასო მამაო!..

გწირამ მადლობას უზომოს,
გულშიაც გიკრავ თანაო
და გკოცნი გრძნობით, მხურვალედ,
ჩემო ერთგულო მამაო!..

დ. ელიოზიშვილი

უთაგეჭლიუბანი

XVI

მიცვალეულთა დასაცავად.

როცა პირველად გადავათვალეერე „დროებრს“
მოწინავე წერილი მე-25 ნომერში ერთმა აზრმა—
ქართველი ინტელიგენციის დამონაგებამ რუსეთის
ინტელიგენციის მიერ—ისე გამიტაცა, რომ ჩემ
აზრთა მსვლელობას უფრო მივდევდი, ვიდრე და-
ნაწერს. გაზეთი ჩამოვკიდე კედელზე და სრულია-
დაც დამავიწყდებოდა, რომ შემთხვევით ბ. ვ-ს არ
მიექცია ჩემი ყურადღება წერილის სხვა მხარეთა-
თვის.

როდესაც წერილი გულდასმით წავიკითხე,
გამაკვირვა ერთ მართალ აზრთან ათასმა სრულმა
უაზრობამ.

ქართველი ინტელიგენტი, მართალია, დამო-
ნაგებული იყო რუსეთის ინტელიგენციის მიერ,
მაგრამ ეს დამონაგება სრულიადაც არ გამოიხატე-
ბოდა ნაციონალური იდეის უარყოფაში.

ერთი, რომ თვით რუსეთის ინტელიგენცია მე-
XIX საუკუნის სრულიად შეცდომით ეჭვენება,
„დროებრს“ პუბლიცისტს ნაციონალურ ინტერესებს
მოკლებულად.

რუსეთი მე-XIX საუკუნეში არ ყოფილა დი-
დიდის ხნით დამონებული და მაშასადამე მთელ
გვემას ეროვნული ბრძოლისას არ საჭიროებდა.
რაც შეეხება ეროვნულ გრძნობათა, იდეათა და
იდეალთა გამოძღვლებას, რა იყო მე-12 წ., ყირიმის
ომის ხანი, თუ არ უდიდესი ნაციონალიზმის ხა-
ნი. განა შესანიშნავი კომედია „Горе от ума“
უმთავრესად ეროვნული თავისებურობის დაცვას
არ მოითხოვს, ზოგან შოვინისტურადაც კი?! განა
ორი მიმართულების — „ზაბადნიკ“-ებისა და სლავი-
ანოფილების ბრძოლა ეროვნული ინტერესების
თავისებური შეგნების ნაყოფა არ იყო?

ნაციონალიზმი ნიშნავს ეროვნული თავისებუ-
რობის შენახვის და განვითარების სურვილს, და სულ
ერთია ამ მიზნის მისაღწევად ომს გავმართავ თუ
სკოლას გავხსნი, მაინც ნაციონალისტი ვარ, თუ
უპირველესად ამას ჩავიდენ ეროვნების განმტკი-
ცებისათვის.

ხმალია წკრილი, კალამი სრიალი, სიტყვათა ფრქვევა და ცრემლის დენა ყველა ერთია — ყოველ მათგანს შეუძლია სავსებით გამოხატოს ნაციონალური სულის კვეთება.

რუსეთს უფრო ხშირად თავისი ნაციონალური სულის კვეთება მე-XIX საუკუნეში კალმით უნდა გამოეხატა და კარამზინის „ისტორია რუსეთის სახელმწიფოსა“—დან დაწყებული ტოლსტოის იპოქონიის ომის დროს გამოძვლავებული ცნობილი ინტერვიუემდი არ შეუწყვეტა თავისი ეროვნების დაცვა. ეროვნული ომებიც კი გადიხადა რუსეთმა ამ ხანებში.

მაშასადამე რუსეთს ინტელიგენცია სრულიად არ უკრილებდა გულს ქართველ ინტელიგენციას ეროვნულ საკითხისადმი, და არც ქართველ ინტელიგენციას დავიწყება თავისი „ნესტანი“.

ისიც კი უნდა შევნიშნათ რომ ქართველი ინტელიგენციის დამონავება რუსეთის ინტელიგენციის მიერ არ ყოფილა ისეთი ძლიერი, როგორც მოსალოდნელი იყო. პირიქით, საკვირველია, რომ სხვა ქვეყნებს მოწყვეტილი, რუსულ კულტურასთან ძალით მიჯაჭვული ქართველი ინტელიგენცია, მაინც ახერხებს თავისებურობის შენახვას: ნ. ბარათაშვილს, ილია ჭავჭავაძეს, განსაკუთრებით კი აკაკის და ყაზბეგს ძნელად შეიძლება შესწამოს კაცმა რუსობის მონობა.

საერთოდ, თითქმის მე-XIX საუკუნის დამლევაში ქართული მწერლობა ბევრად უფრო თავისებური და თავისუფალი იყო რუსეთის გავლენიდან, ვიდრე უკანასკნელ წლებში. მხოლოდ მე-XX საუკუნეში გახდა ს. დემოკრატიამ, ს. ფედერალისტებმა და სხვათა საქართველო ნამდვილ რუსეთის ფილიალურ განყოფილებად.

მაგრამ ეს რთული საკითხი სხვა დროისათვის.

სულ ერთი კვირა არ გასულა, კალამიც კი არ გასცვია „დროების“ პუბლიცისტს მას მერმე, რაც „საქართველოსა“ და „ივერიას“ შესახებ დაცინვით ამბობდა წარსულის უკოდინარობის გამო ათასჯერ გადაღეჭილი ეროვნული საკითხი ახალ გამოგონილად მოაქცია.

მაშინ, ამ ერთი კვირის წინად, „ერთპირობის“ მიმართულებაც კი ძველის ძველი ეგონათ დიდებულ პუბლიცისტებს, დღეს კი ახრინად გვიცხადებენ: „ჩვენ ინტელიგენცია მეცხრამეტე საუკუნეში ფაქტიურად დენაციონალიზაციის მოციქულობას (?) ეწეოდა... ისტორიული წარსულისადმი პატივისცემა და ნაციონალური გრძობების გამოთქმა სალირიკო ლექსებში — საზოგადოებრივი და პოლიტიკური

ნაციონალიზმი არ არის“... ინტელიგენცია „არ წარმოადგენდა რაიმე განსაზღვრულ პოლიტიკურ იდეალების მატარებელთა ჯგუფს, არ იღვწოდნენ საზოგადო ცხოვრების ასპარეზზე ამ იდეალების თანახმად და, თუ ათასში ერთხელ თარზე სამშობლოს სიყვარულს დამღერდნენ, ეს ჩვენ ნაციონალიზმად არ მიგვაჩნიაო“.

მართალი უნდა სთქვას კაცმა, ძლიერ მოკლელა და ნათქვამი, მაგრამ ძლიერ უაზროდაც.

ლიბერბოლას ხმარება, რა თქმა უნდა, შეიძლება, მაგრამ ლიბერბოლას იგივე მიმართულება უნდა ჰქონდეს რომელიც თვით აზრსა აქვს. მაგალითად ავიღოთ უკანასკნელი აზრი — „ათასში ერთხელ თარზე სამშობლოს სიყვარულს დამღეროდნენო“. ასე თქმა მე-XIX საუკუნის ქართულ მწერლობაზე განა შეიძლება? სინამდვილე პირდაპირ წინააღმდეგობას წარმოადგენს. ჩვენ თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ არ ყოფილა მწერალი, რომლის გონება დიდხანს არ შეჩერებულიყო მამულის შესახებ ფიქრზე; რომლის ოცნებას არ ეხატოს მამული; რომლის კალამი არ გაცვეთილიყო მამულის სიყვარულის ქებაში.

ყაზბეგის მთელი ნაწერები ერთი აზრს, ერთი მოკლე წინადადების განმარტებაა: „ვინ დამონებულთა“. აკაკის ნაწერების ცხრა მეათედი მამულის სიყვარულის გამოთქმაა, ან შემკობაა.

რისთვისაა ნეტავი დაწერილი ბ. პუბლიცისტის აზრით ილიას „აზრდელი“ „მეფე დიმიტრი თავადებული“ „დედა და შვილი“; ნ. ბარათაშვილის „ბედი ქართლისა“; გრ. ორბელიანის სადღევრძელო? რისთვის იღვწოდა მ. გურიელი, გრ. აბაშიძე, და მრავალ სხვა პატარა და შესანიშნავი პოეტი და პუბლიცისტი?!

ჰაი, ჰაი, ბექირ-ბეი! — აკაკის არ იყოს.

ესეც ლიბერბოლა იქნება, მაგრამ არა წინააღმდეგი სინამდვილისა, არამედ სინამდვილის განდიდება თუ ვიტყვით, რომ მთელი XIX საუკუნის პოეზია მამულის სიყვარულის შემკობა, გამოთქმა იყო.

მე-XIX საუკუნის მიცვალებულ მწერალთა შორის მხოლოდ ორს ვიცნობ, რომელთაც, ვითომც ნაკლებად შეეხენ ამ პოეზიის მატებს — თ. რაფ. ერისთავი და ნინოშვილი. მაგრამ პირველს ეკუთვნის „სამშობლო ხევსურისა“ — პატარა ლექსი, ნამდვილი „მაგალიტი წყობილა“.

იქნებ „დროების“ პუბლიცისტს პოეზია ამ შემთხვევაში უმნიშვნელოდ მიაჩნია. არ ვფიქრობ, მაგრამ შეიძლება „დროებს“ არ სწამდეს, რომ ეროვნულ იდეის განმტკიცებაში პოეზიას ბევრად

უფრო დიდი გავლენა აქვს, ვიდრე ჩვეულებრივ პროგრამულ „ძირითადს საფუძვლებს“, რომლითაც იწყებს დასი თავის პროგრამის სახელმძღვანელოს.

ცნობილია, თუ რა დიდს მნიშვნელობას მიაწერენ რუსეთის საზოგადოებრივი აზრის ისტრიკოსები გრიგორიევიჩის „ანტონ გარემიკას“ და ტურგენიევის „ზაპისკი ოხოტნიკას“ გლახთა განთავისუფლების საქმეში.

პოეზიის მნიშვნელობის შესახებ მინდა ორი აზრი მოვიყვანო. „თავის დღეში ვერ გავიგებთ პოლიტიკურ ეკონომიასო—ამბობს ემერსონი—თუ იგი არ გვიამბო თავის ლექსებში ბერანჟემ, ან ბიორნსმა ან ვინმე სხვა პოეტმა. ამით მსურს ვთქვა, რომ ხშირად მეცნიერული გამოკვლევანი არ არიან საკმაო პოლიტიკურ-ეკონომიური საკითხების გასაგებად უმრავლესობის მიერ, რომ მათ (პოლიტიკურ-ეკონომიურ საკითხებს) სხოლოდ ხელოვნურ ნაწარმოებთა საშუალებით შეუძლიათ, სარგებლობა მოუტანონ ერს“.

„ვეკვობო—სწერს პროფ. ჰერკერი—სიღვთელ საოჯახო მრწველობის უმწეო მდგომარეობის გამოსარკვევად ემოქმედნოს ყველა სამეცნიერო გამოკვლევას იმდენად, რამდენადაც იმოქმედა ერთადერთმა ღრამამ ჰაუბტმანისამ—„ფეიქრებმა“.

მომეცით ნება, მეც შევიტანო იქვი, რომ სოციალ-ფედერალისტებთა პროგრამებს იმდენივე სარგებლობა მოეტანოს ეროვნული იდეის განსამტკიცებლად, რამდენიც მოიტანა ნ. ბარათაშვილის პატარა ლოცვამ.

მწყემსო კეთილო, შენს წმინდას სამწყსოს შემოვავედრებ ჩემსა სამეფოს!

გულთა-მხილავო, შენ უწყი რაც დღეს საქართველოსა ჭირნი მოადგეს.

მრავალ არიან, უფალო, მტერნი და წარტაცონ შენი ცხოვარნი!

გვესწრაფე, ჩვენო ჩელთ-აღმპყრობელო, და აღადგინე დღეს საქართველო!

ან განზომეთ მნიშვნელობა ამავე პოეტის შემდგის სიტყვების:

სახელმწიფოსა ჰსჯულის ერთობა არა რა არგებს, ოდეს თვისება ერთა მის შორის სხვადასხვაობდეს; ვინ იცის, მაშინ როგორ მოუხდეს რუსეთის ძალი ქართლს აწინდელი; ვით შეითვისოს რუსმა ქართველი, ვით შეიწყნაროს რუსთ მეფობამა, რაც მოისურვოს ქართველობამა? მაშინ, მეფეო, რავდენთ კაცთ მართალთ მოუკლან გული ტანჯვით იღუმალთ!

ეს ლექსები მხოლოდ ორი წვეთია იმ ზღვაში, რომელსაც მე-XIX საუკუნის ქართული პოეზია ჰქვია.

ეს პოეზია იყო ის დიდი ძალა, რომელმაც წინააღმდეგა საქართველოს გადაგვარებას და შედეგად მე ბედნიერება მაქვს ყოველ დღე ვიგემო სიღრმე „დროების“ სიბრძნისა და ხანდახან წავართვა ჩემის წერილების კითხვით „დროების“ პუბლიცისტს „დიდებულ საქმეთათვის მიჩენილი დრო“.

მაგრამ, შეიძლება, ქართველ ინტელიგენციის მოღვაწეობა ეროვნულ საქმეში პოეტურ ნაწარმოებში ეროვნულ გრძობათა გამოთქმით თავდებოდა? ასედაც რომ იყოს, თუ პოეზიამ გასჭრა, თუ ეს მხარე მოქმედებისა კეთილ სინდისიერად და ნიჭიერად იქმნა ასრულებული, არ გვაქვს უფლება ვთქვათ „ჩვენი ინტელიგენცია მეცხრამეტე საუკუნეში ფაქტიურად დენაციონალიზაციის მოციქულობას ეწეოდაო“. ნამდვილად კი პოეზიის საშუალებით აღძრულ გრძობას ჩვენი მე-XIX საუკუნის მოღვაწეები პრაქტიკულ საქმეზე მიმართავენ, და თუ თვალსაჩინო ცხოვრებაში ვერაფერი შეიტანეს, გზა მაინც გვიჩვენეს, რომელსაც მხოლოდ გაფართოვება უნდა, დაწესებულებანი მაინც დაგვიარსეს, რომელთაც მოვლა სჭირია, სული მაინც დასდევს იმ აზრისთვის, რომელიც გამოთქმულია აკაკის ლექსში—„დროების“ პუბლიცისტს ლექსი არ მოსწონს, რა ვქნათ!—

დამეხსენი, ოსმალელო,
რა მაქვს შენთან საზიარო?
თვით ოხერო, მოუვლელი,
როგორ გინდა მოზიარო?!

მაინც გარდა პოეზიისა, რაში გამოხატა საზოგადოებრივი და პოლიტიკური ნაციონალიზმი მე-XIX საუკუნის ქართველმა ინტელიგენციამ? ამაზე შემდეგ.

ნ. ლორთქიფანიძე

ჰეინელან

რომ გაიგებდნენ ნაზი ყვავილნი ჩემი გულისა უღრმეს ტანჯვათა, ისინიც ჩემებრ აკვნესდებოდნენ ჩემი წყლულების გასაკურნათა. ბუღბუღლებიცა, რომ გაიგებდნენ, სევდა როგორ ჰგლეჯეს გრძობათა სიძებს, დამატკობელად იგალობებდნენ ნუგეშინისა საამო ჰანგებს. და, რომ შეეძლოთ ამის გაგება ცის კაბადონზე ოქროს ვარსკვლავებს,

დაეშვებოდნენ დედამიწისკენ
და ნუგეშითა მომხვედნენ მკლავებს.
მაგრამ არავინ არ იცის ქვეყნად
ეს დიდი ტანჯვა ნორჩი გულისა,
იცის მხოლოდ მან, ვინცა ლაღატით
მომიკლა რწმენა სიყვარულისა.

ი. მჭედლიშვილი

სიყვარული.

(გადმოღებული კარლ ვეალდიდან)

თამარო ხუთი წლისაა და მას კიდეც ყავს
ამორჩეული საქმრო. ეგ „რჩეული“ ჩვენი მრეცხავი
დედაკაცის შვილია, ითხი წლის კოლა. მართა-
ლია კოლას ხანდისხან ცინგლები ჩამოსდის, მაგ-
რამ ეს ხომ თამაროსაც მოსდის; ერთი სიტყვით,
ორივე შესაფერნი არიან.

თამაროს შემოყავს კოლა ჩვენთან სასადილო
ოთახში და მათთვის მოხერხებულს ადგილს—ორ-
ნივე ფანჯარაზე ჩამოსხდებიან. თამრო გადაშლის
დაფხრეწილ წიგნს, რომელიც შეადგენს მის სა-
კუთრებას და დადის ატაკებით უამბოპს კოლას
რომელიმე ამბავს ამ წიგნიდან. ცოტა ხნის შემ-
დეგ კოლას მოსწყინდება საინტერესო საუბარი
და უზრდელად გამოუტყუდება, რომ სამრეცხვე-
ლოში მსურს წასვლაო. თამრო ყოველ ღონეს
ხმარობს რომ კოლა არსად გაუშვას, მაგრამ ყოვე-
ლივე ცდა ამოა: კოლა თავისას არ იშლის—
მიდის სამრეცხველოში.

თამრო ტირილით შემოარბის ჩემთან.

— „მამა, განა კოლას უფლება აქვს რომ მომშორდეს! ის ხომ ჩემი საქმროა!

— მართალია—ვუპასუხებ მე,—უფლება არ აქვს, მაგრამ...

— მამა, კოლას არ სურს ჩემთან დარჩენა, სახლში უნდა. თამრო ქვითინს იწყებს.

ხელში ვიყვან მუხლზე ვისვამ და ვცდილობ როგორმე დაეამშვიდო:

— თამრო! შენ ცუდათ იქცევი, ვეუბნევი მე. მამაკაცნი ვგრე როდი არიან შექმნილნი. თუ მათ დარჩენას სთხოვენ ისინი მიდიან-- გარბიან, ხოლო თუ აგდებენ—თავს გვევლებიან...

ეხლა წადი, ჩემო კარგო, და კოლას, უთხარი—წაეთრე სადაც გინდოდეს შე, სულელო ბავშვო თქო, მე სხვა საქმროს ვიშოვი—თქო, და —მაშინ შენ თვითონვე ნახამ, რაც მოხდება.

თამრო გონიერი გოგონაა. გაკვირებით შე-
მომხედდა თავის შავი თვალებით, რომელზედაც ჯერ

ცრემლები არ შემრობოდა, ჩამოხტა ჩემს მუ-
ხლიდან და გაექანა სამრეცხველოსაკენ. მეც თან
გავყე. ეზოშივე წამოეწია თამრო კოლას.

— წაეთრე აქედან, შე უზღელო; დაუყვირა
თამრომ, მამამ ნითხრა, რომ მე სხვა საქმრო მე-
ყოლება. კოლამ თვალეები დააქყიტა, რადგან კარ-
გად ვერ გაეგო თუ რას უჯავრდებოდა და ეუბნე-
ბოდა თამრო.

თამრომ არც კი დააცალა კოლას წასვლა,
სტაცა ხელი და მუჯლუგუნით გააგდო.

მერე სწრაფად შემოვიდა ჩემთან ოთახში, მო-
მკიდა ხელი და მითხრა.

— მამილო ის აღარ დაბრუნდება?

ჩვენ გავემგზავრეთ, სასადილო ოთახში და
ფანჯარიდან დავიწყეთ ცქერა, რომელიც გზას გა-
დაყურებდა. ჩვენ დიდხანს არ მოგვინდა ცდა, მა-
ლე მოგვესმა კოლას ძახილი ეზოდან, რომელიც
თამროს ეძახდა:

— თამრო!.. თამრიკო!..

მე სწრაფლ შევხედე თამროს, რომელსაც
სრულებით ვერ შევამჩნიე ის სიხარულის ნაპერ-
წკალი, რომელსაც მე მოველოდი.

— მამა...—მითხრა მან—მე ის აღარ მინდა...
მე „სხვა“ მინდა...

ამასთანავე ამ სიტყვებზე მის თვალეებში რა-
ღაც გამოიხატებოდა, რაღაც სჩანდა, რომლის
აღწერა მე არ შემიძლია.

მხოლოდ ამას კი გეტყვი რომ ამ გამომე-
ტყველებას ადვილად შეამჩნევთ ყველა ქალს ნ
წლიდა 40 წლამდის.

ტეტიო.

მისი საფლავი

მის საფლავის წინ მუხლმოდრეკილი

ვიდექ, კაეშნით გარემოცული,

და რა წარსული მატონდებოდა

მით უფრო მძღაფრად მიწუსდა სული...

ჩემი გონება, აზრი და გრძობა,

ამ მტირე ადგილს თავს ეკულებოდა

სადაც წარსული მისი მშვენება

ესლა უწყალოდ ეკულებოდა.

ამ დრეს ზეფიერმა შეითამაშა,

და უცხო ხმებმა შემიპურეს სმენა...

„აქ რასაც ექებ მას ვუღარ ვხედავ...“

მისი ადგილი იქ არის— ზენა“!

შეკვრათი... ცრემლები თვალს მოვასწორე:

მეგონა ზეტა მესაღმებოდა,

მაგრამ მოვსტუევი... სინათლის ნაცვლად,

შავი დრუბელი თავს დამტქეროდა.

ჯ. ჯორჯი



ჰასან ფეჰმი ფაშა

(ქართველი მაჰმადიანი, ბათომელი. ეხლა იუსტიციის მინისტრია სტამბოლში, ერთი საუკეთესო მცოდნეა კანონებისა, მან შეადგინა ოსმალეთთვის პირველი „საერთა შორისო უფლება და დებულებანი“. წინედაც ყოფილა 'ხვადასხვა სამინისტროს მართველად. მეტად გავლენიანი კაცია ოსმალეთში. ჰასან ფეჰმი შედარებით ჯერ ახალგაზდა, ნწ წლის კაცია განვითარებული ბუნებით ჭკვიანი და ნიჭიერი).



კირიონ ეპისკოპოსი

რომელიც ამას წინაღ განაძევეს ერთ მივარდილ და მიყრუებულ მონასტერში.

არაუღია მონასტერი.

აგერ, გონია, ერთი თვე იქნება—, არეულია მონასტერი“-თქვა აღარ დამიყვირია, ეგება იფიქრა ვინმემ, რო ქუთაისში ძაან დაწყობილია მონასტრის საქმეები და მიტომ აღარაფერი დავწერე?! რა შუაშია! იმერლები მისთანა თვისებისა ვართ, რომე არც ასე იოლათ რიგდება არეულ-დარეულ საქმეების გამოკვარახქინება. ყვირილის, ბაქი-ბუქი, ტრაბახი - იცოცხლე,—ჩვენ ხელთაა, მარა საქმის გაკეთების უნარი, ნურას უკაცრავად და, რაცხა ნაკლებად გვჩვევია. დაწყებით, ძაან რიხით ვიცით დაწყება ყოველი საქმის, ფირანას ჯოხივით დავკვიწილდებით სულ, ჰაი, ჰუით შევხვდებით, მარა ბოლო კი ბოლოკი!

რას იზამ! სამს კარგსა და გულწრფელში ერთი მაინც იმასთანა თვისების ვინმე გამიგვეტება, რომე მთლათ არევისა და ააფორიაქებს საქმეს.

მაგალითათ: უხამერიონის მთაზე არის ერთი აგუფი, ბუდე, რომელიც ქორიკანობის მეტს არა

ფერს არ აკეთებს, რო შეხედო, იტყვი: — ბამბაში ძევს ეს ხალხიო, არაფერი უჭირთ, კარგათ არიან, თბილათ არიან, ზოგიერთებს პედაგოგებს სარბოელიც უჭირავთ და მით უფრო საკვირველ და უცნაურ მოვლენათ მიგაჩნია, რო ქორიკანობენ, მარა რას ქორიკანობენ, მისთანა რამეს შეთხზავენ და გამოიგონებენ, რო ყურებში თითები უნდა დაიცვა! ავსა კაცსა ავი სიტყვა ურჩევნია სულსა გულსა,—ყოველთვის ეს ლექსი მომაგონდება...

ხშირათ აურევიათ ამგენს მონასტერი იქ, თავის საბძანებელი გორაზეც და ქვევითაც უქნიათ ნავარდი, არ მოუკრებიანთ ია-ვარდი, მარა თავისას მაინც არ იშლიან!.. ახლა მაინც არეულია მონასტერი და ამით ძაან სარგებლობენ.

ამ მონასტრის არეულობით ზოგიერთი ჩვენი ჯანიოზებიც სარგებლობენ. არ ვიცი ღმერთმანი, ჩვენ კოლოს შვილები ვგონივართ, თუ სხვა ბუზანკალისა, მარა ისეუ-ყოველ ეთიკოთ გვეპყრობიან, რომ აღარ იცი კაცმა, რას ეცე, ვის ებღღვენ?!... აი, ერთი ექიმის ონი.

ერთ ხელ-მოკლე ოჯახში მელოგინე ქალი შე-



ქურთის ქალი

იქნა კულდათ მშობიარობის შემდეგ. თავ-ქუდ მო-
 გლეჯილი ჩამოირბინეს ქუთაისში ქირისუფლებმა
 სულ შვიდი-რვა ვერსი თუ იქნება ქუთაისიდან სო-
 ფელი. ვისაც არ მიმართეს,—ოთხი თუმანი, ხუთი
 თუმანი, ექვსი! ბოლოს ერთს გაურიგდენ სამ თუმ-
 ნათ. ავიდა, ნახა ავათ-მყოფი, დაჯდა წერათ წე-
 რილისა—სულ სამ-ოთხს საათში, თუ გინდა ხუთს
 საათში ჯიბას გაიკრა სამი თუმანი და წამოვიდა.
 ამ სამ თუმანთან ხუთი მანეთიც სხვა ვადასცა
 მელიოგინეს ქმა'მა ექიმს და სთხოვა:—ჩემი ძმა დაგ-
 ხვდებათ ქუთაისში თქვენს ბინაზე და გთხოვთეს
 თქვენი რეცეპტები და ხუთი მანეთიც უბოძოთ,
 რომ მალე ამოიტანოს თქვენი გამოწერილი წამლე-
 ბიო, ექიმს ის ძმა კი დახვდა ქუთაისში, მარა იმ
 ხუთ მანეთზე აშა კრასი ოცდა თუთხმეტი მე მერგე-
 ბოდაო!—ოცდა ათათ რომ გაგირიგდითო?!—გზები
 ყოფილა გლახა, მერე ამინდი—შეიძლება გავცივდე,
 მოვკვდეო...



გურია.—ქულების შეკეთებელი

მითხარით, რათ უნდა ქონდეს სასიცოცხლო
 პირი ამისთანა ეთიკის პატრონს ესკულაპს.

არაა არეული მონასტერი?!

არეული თუ არ იყოს—იმერ-საქართველოს
 დედა ქალაქ ქუთაისში, იმერელი ქალები, ქართვე-
 ლები, საქართველოს დიდებულ მგოსნის დღესწა-
 ულის გამო, ქართულს ენაზე არ გააკრავენ განცა-
 დებას?! უცნაურათ გამიკვირდა და მერე გულიც
 ამიკვნესდა—ეს განცხადება რომ ენახე:—მეტეჩრე-
 ბი ვართ, ბატონო, საძაგელი მეტეჩრები!

არეულია მონასტერი!

გოცირიძის კვანტი

სცენები სცენისათვის

ამბარცუმას კვერცხები

არა, ეს რა ხათას გადაჰქიდა ამ ბოლნიცამა?!
 გაუწყრეს სურფ-სარქისის მადლი! ეს ქათმებიო, ეს
 კვერცხებიო, ეს ერბოაო და რა ვიცი ათასი ჯან-
 დაბა... მეც გულკეთილობა გამოვიჩინე, გაუხსენი
 კრედიტი თითქოს აზოვეცი ბანკი ვიყო რაღა?
 თურმე ნუ იტყვი კაპიკიანი სპაჩქა რა არის, იმასაც
 არვინ ენდობა იმ ჩემი ცოდვით სავსესა აი! ერთ

დღეს ამხანაგმა კარაპეტამ დამიწყო შუღლი; ამბარ-
ცუმ ამდენი ნისია გაქვს გაცემულიო ერთიც მოდი
ანგარიში ვქნათ, შენ შენის ნისიებით შენთვის, მე
კი ჩემთვისაო. რას ვეტყვდი? კაცნი ვართ. ჩავარ-
დი საგონებელში! ავდექი და გავემართე ბოლნიცი-
საკენ ჩემი ძველის დავთრებითა. მისვლისთანავე მო-
მეგება სმოტრიტელი, მეც მივეგებე სალაში უძღვე-
ნი, თავი დამიქნია ფრანკუცკი კონწოლივით სკამი
შემთავაზა: „სადის ამბარცუმ პოქოლუსტაო! მეც
გადვიქაჩე რაღა, იმერელი ქადიყლაპია თავადივით
და სტოლის თავთან წამოუჯექ წინ.

სტოლი და შკაფი ერთავად წითელი და ლუ-
რჯი ქალღლებით ჰქონდა საესე, თვითონ აჩკები
წამოედო, ცალის ხელით ფეჩათს ურტყამდა ქალა-
ღლებსა, ცალის ხელითა ჩოთს ურიხინებდა. (მომა-
გონდა ჩვენი კომერცი ბანკი) საქმეში გართული-
ყო ვერაფერი გავბედე. მზემ მუბის ტარზედ დავი-
და, ერთობ დავიღალე ჯდომითა, თანაც პური მო-
მშივდა და ისიც იყო ამოვალაგე ჩოთები, მაგრამ
მომასწრო სმოტრიტელმა და მითხრა:

აი, ძამია ნომერი და კასირს მიაკითხეო ქვეით
ბაზრის ბოლოზედ აქვს მიწა და ფულის მისაღებათ
ხვალ დაგიბარებს ბანკში და გავისწორდებაო.

ვა! კასირი რა შუაშია? კასირთან რა საქმე
მაქვს? რაში უნდა გამისწორდეს ვერ გამიგია მეთქი,
ვებნები. მთელი ხუთი საათი იყეფა და ბოლოს,
მანც გამომისტუმრა იმ გატიალბულმა ცარიელი
შენი ამბარცუმ პოლოზიჩი. მეორე დღეს კასირს
ვიახელი. კასირმა მკითხა ჩემი მოსვლის მიზეზი, მეც
ვაჩვენე ნომერი, შევატყვე ჩაეცინა უღვაშებში (აღ-
ბათ რაღაც საიდუმლო თუ ამოიკითხა) ბოლოს მი-
თხრა:

ამ ნომრით ორდერია ჯერ არ მიმიღიაო და
ჩოთქს დაუწყო რიხი რიხინი.

კასირჯან! თქვენ რა უნდა მიგელოთ, როცა
მე მაქვს ემ ნომრით ასაღები ნისია მეთქი!.. არაო,
მითხრა. კასირჯან, როგორ არა, აი, თუ გინდ და-
ვთრებში ჩაიხედე და ნახავ მეთქი..

ჰო ვიცი, მაგრამ ორდერიო? რისი ორდერი?
აი, ნომერი აი, დავთარი!.. რომ ჩავაცივდი ერთი
ისეთი შემომძახა შენმა მზემ, რომ სამი ღილი შე-
მომაწყდა ახალუხზედა, ბოლოს ხელი მკრა და კა-
რებში გამომაყოფინა თავი. აბა რას ვიზამდი? კა-
სირია ფულში საქმე აქვს, სვისტოკი სტოლზედ
უდევს ერთიც დაუშტვინოს ხომ გამქაჩა გოროდო-
ვომ, წადი მერმე ამბარცუმ დახარჯე ქრთამები?!

სიტყვა ვერ მოუბრუნე აქ უფრო სახიფათო
იყო საქმე, მეც ავდექი და წამოველი. მესამე დღეს

დავადექ აღმართს ბოლნიცისაკენ. ვინახულე სმო-
ტრიტელი და აუხსენი კასირსა და ჩემს შუა მომ-
ხლარი აურ-ზაური, იმანაც გაჯავრებულად შემომ-
ძახა: წადი სოვეტში უჩივლე კასირსაო..

სმოტრიტელჯან, რაებს მებნები?! სადა მცა-
ლია კასირის საჩივლელოდ? მისთვის რა მიმიცია,
რა უჩივლო მეთქი?! ვა, მე შენთანა მაქვს საქმე
შენთან, თორემ კასირთან რა დამჩენია მეთქი? გი-
ჟია ოხერი!.. კაცო რაებს მებნებით?.. კასირს უჩი-
ვლო, მერმე თქვენ გიჩივლო, მერმე სოვეტში ვი-
ჩივლო, ხომ გაიარა ათმა წელმა? არა, მაშ ამბარ-
ცუმი ნისის განაღდებას ვერ შესწრებია რაღა?!
სმოტრიტელჯან მოდი, ლოთიანად ნახევარი შენ,
ნახევარი მე, ერთი მომაშიორე მამა გიცხონდება ამ
შაირს-მეთქი. ცოტა არ იყოს სმოტრიტელი მოლბა.
ჰა, საქმე ის იყო რიგდებოდა, რომ შემოგვესწრო
ფერზალი, იმანაც მხარი დაუქირა სმოტრიტელსა
და დაწყობილი საქმე ერთავად დამიწია. რა უნდა
მექნა? გულმა მითხრა. ერთი ამბარცუმ დაადე ამათ
მაუზერციკი ლევრევი, ბრახ უქენი და შენთვის წა-
დი მეთქი. დასწყევლოს ღმერთმა! ჩემს დღეში ლე-
ვრები არ მქონია (აბა რად უნდა დამქირვებოდა,
ვაქარი კაცი ვარ)? ვაი თუ აქეთ გასროლილი
ტყვია აქეთ მეცეს, მაშინ რა პასუხი გავსცე ჩემს
ცოლშვილსა?..

ვატყობდი საქმე ხათათ იყო, ავდექი და მეო-
თხე დღეს წაველი ქუთაისში. ვოკლიდანა ფაეტო-
ნით გავექანე საბქოსაკენ, კარილორში შემომესმა
ხმაურობა ცოტა შავფიქრდი, მაგრამ უკან ხომ არ
დავბრუნდებოდი? ნახარაღევი კაცი ვიყავი... რაც
იქნება იქნეს მეთქი და შაველი ბულასტერციკი ოთახ-
ში. ვიღაც თავზე ხელაღებული ლივერს უმიზნებს
კასირს: მალე ფული მოიტანეო! სწორედ ამ დროს
სტაცა ხელი ბულასტერციკის პომოშნიკმა და უბი-
დან შვიდი გირვანქამდე სარეცხი საპონი გადმოუა-
რდა!

მე პირველად ბონბები მეგონება, კინაღამ იქვე
მოკვდი, თურმე ნუ იტყვიოთ ძველი ნამსახური ყო-
ფილა, ფული რომ შემოაღეფია, საპნის ქარხანა გაუ-
ლია, იქაც ჰმმოსვლია საფანელი დაკლებია და ბო-
ლოს ძალაზე დამდგარა... მისწოლოდა გასასვლელ
კარებს და გაბრაზებული ყვიროდა; აქედან ვერც
ერთი ცოცხალი ვერ გავხალთ, სანამ ფულს არ
მომცემთო, როგორც ბოლნიცის გიჟი ისე ატრია-
ლებდა თვალებსა. ყველა იქეთ აქეთ იქაჩებოდა.
ლევრები მგონი ორმოცამდის ტრიალებდა ჰაერში.
შამილობა ეგონებოდა კაცს. ამ ხათაში სულ და-
მავიწყდა ჩემი ფული ერთი ქაათურელი ნაცნობი

ყასაბი ვნახე, მიუახლოვდი და ახალოხზე მოვებ-
ლაუქე, ვებნები კაცო წავიდეთ, როგორმე გავას-
წროთ, თორემ რა ვიცი ხათაბელაში გავფრევით
მეთქი. რა ვიცი, ამაც საათი მაქვს, ამაც ქამარი,
ამაც ყალმუხის ქული მხურავს ერთიც ვნახოთ მაი-
სვარონ ხელი?!... ესაქვით შენს ამბარცუმს დაადეს
ლევროვი გულზე!.. სჯობია გავსცილდე ამ შარს
ვებნები ჩემს თავს. ღმერთმა შეარგოთ ჩემი კვერ-
ცხები მეთქი. რა ღმერთი გამიწყრა რომ აქ ფეხი
შემოვდგი? ერთიც ვნახოთ და ჩემსკენ, წამოვიდნენ
მაშინ რა გინდა ამბარცუმ მოაგვარო?? იოსებჯან
შენი ცოლშვილის სადღეგრძელოდ გავ-ცილდეთ აქა-
ურობას, ფაეტონის ფული ჩემი იყოს მეთქი!..

ცოლშვილი ქალაქში დამიტოვებია, საქონელი
და დახლი ქიათურაში და ამბარცუმა აქ უნდა მო-
კვდეს? აფსუს!! ჰა კაცო ნულარ იგვიანებ, მოშორ-
დით ამ ოხრებს მეთქი!

ორმოცდა ხუთმეტი წლის კაცი ვარ ქალაქელი
ყალთაბანი, შიგ შუაგულ, ქალაქში გავიზარდე,
სად არ ვყოფილვარ, ეს ღოროცკოი უბრავე გინ-
და, ეს ღომბარდი, ეს ვოინცკი შტაბი, ვოინცკი
კლუბი, ნერსესიანთ თრიათრი, ტიპლიცკი ლისტოკის
რეაქცია, პავლეონი ბაბკი და ასეთი არა მინახავს
რა ჩემმა მზემ იოსებჯან!!

არა, ერთი მითხარით, რა მსჯის, ჩემი საქო-
ნელი ჩემს დუქანში დალპეს ჯანიც გავარდნია სმა-
ტრიტელსაც კასირსაცა და საბქოსაცა!! მოდი და
ეხლანდელს დროში დაენდვი ვისმეს! ეხლა რო-
გორ მოვათადარიგო საქმე? სუდში ვიჩივლო პოვე-
რენი უნდა, რაც ასადები მაქვს იმას უნდა შევქა-
მო! არ ავიყვანო და ვის უნდა შევქაპო ჩემი კვე-
რცხები?!... აქეთ არი და კარაპეტას რა პასუხი
გავსცე? ვითომც კარაპეტა მებნება სმოტრიტელს
ამხანაგთა ბუროში უჩივლეო. ერთი იმანაც მასწავ-
ლა რადა?! იმათი ბურო სვაცვიალისტებითაა სავსე
და ერთიც ვნახოთ გაიგოს პოლიციამა, ხომ ამო-
მაყოფინეს თავი ასტრახანცკი ლუბერნიაში. არა,
ისევე სჯობია სუდში შავიტანო ჟალობი, ბარემ პო-
ვერენმა შესქამოს ჩემი კვერცხები ბევრად სჯობია
ჩემმა მზემა!!.. საქმე ასეა მიკირტუმ არშაკი! ღმე-
რთმა დასწყევლოს აქაურობა, ესეც არი ქალაქში
მივდივარ, ერთი მოვშორდე ამ შაირიან ხალხსა!
ნათქვამია მთის ჩიტი მთას შეაკვდაო, ისევე ჩვენს
ქალაქში მომივიდეს, რაც მომრვა, ამათ ჯანიც გა-
ვარდნია!...

მშვიდობით ჩემო მიკირტუმ არშაკი!

მშვიდობით ამხანაგჯან კარაპეტა!!!...

გ. დაუნდობელი

ა კ ა კ ი ს

(იუბილის გამო)

შენ ხარ დიდება საქართველოსი,
დღით მზე ხარ მისი და ღამით-მთვარე,
მუდამ უნათებ მას ბნელ შიდაშოს —
გიყვარს ძლიერათ მშობელი მხარე.

მრავალ-ტანჯულის ერის შვილი ხარ
მისებრ ტანჯული ხუთჯერ ათ წელი
მას ემსახურე შენ უანგაროთ,
ფასს კი არ ითხოვ და არც მოელი.

ქართველი ერის წინამძღვარი ხარ,
მისი მედროშე, ბაირალტარი;
ხალხს შემოველე და საპირადო
არ გიძებნია — არსადაც არი!

შენი სამშობლო, მრავალ-ტანჯული,
გიყვარდა გულით, თავს ევლეპოდი,
ნესტანათ გყავდა ის დასახული
და შენც იმისთვის ტარიელობდი.

მუდამ ცთილობდი იმის გამოხსნას,
„წვერიც შეგექნა-ვხედავთ-ქალარა“;
რაზმს ამხადებდი გასალაშქრებლათ,
„გმირებს ეძახდა შენი ნალარა“.

„სამშობლო შენი რომ ხატათ მიგაჩნს
და სახატეთ კი მთელი ქვეყანა“,
ამიტომაცა გდევნის ძლიერი. —
და შეუშინდი ამას შენ განა?

არა და არა! ათასჯერ არა!
ვერ შეგაშინა მტრისა შენ ძაღამ,
მისმა სიმკაცრემ, გამხეცებულმა,
არც თვით ცხოვრების მწარე სამსალამ.

თავგანწირულათ, დაუღალავათ
შენ მსახურებდი წმინდა იდეალს;
აწმყო-ნამყოსი უკმაყოფილო
შესტროფოდი მხოლოდ დიად მომავალს.

მადლსა ზეციურს რაც რომა შენთვის
გრძნობა-გონება გადმოუცია,
შენსა უღალავს, მახვილსა კალამს
საშვილიშვილოთ გადაუცია.

იკურთხოს შენი მშობელი მხარე,
იკურთხოს შენი ბასრი კალამი,
რადგან გვასწავლის ძმობას, სიყვარულს,
შენი უმწიკვლო დროშა, ალამი.

ბ. ძიმისტარაშვილი



მხარელობისა და ხელმოწერის გარეგანი

◆ მარტის პირველ რიცხვებში მოსკოვში შესდგება რეჟისორთა კრება (ასეთი კრება შარშანს იყო) კრება ფრანგ საგულდისსმომ და სსკირ-ბორტო კითხვებს გამო-ჩეკს. ჩვენი სტენის ბედიდბლის გამგებელი შარშანს ივენენ მოწადინებულნი რომ ამ კრებაზე თავანთი წარმომადგენელი ჰყოლოდათ, მაგრამ წადილი ამოც ნატვრად დარჩა. ნეტა წელს მაინც მოახერხებდეს დრამ. სსზოგ. გამგება თავის წარმომადგენელის კავზავნას. ასეთი ხარჯი სსკირტე არის და სსხარტებოტე.

◆ ამ თვის 27 თებერვალს შესრულდება ცნობილი ალექსანდრე სუფორინის სალიტერატურო მოღვაწეობის 50 წლის თავი. სუფორინი აკერ 35 წელზე მეტია რაც გასეთ „Новое время“-ს წარმოებს, რომელიც დღეს რუსეთში უველს გასეთებზე უფრო გავრცელებული და ზეგავლენიანია.

◆ იანვრის 24, ბაქოში დიდის ამბით გადახდილი იქმნა სომხური სტენის დამამშვენებელი მსახიობი ქალის სირაინუშას 25 წლის იუბილე, რომელსაც დიდძალი ხალხი დაესწრო, მრავალი დეპუტაციები იყო და მისალოტი დეპუტების რაოდენობა 600 აღემატებოდა. სირანუშას იუბილეს ტფილისშიაც გაიმეორებენ თურმე.

◆ სომხურ დრამატულ დასს, რომელიც ამას წინედ ორსმალეთში გაემგზავრა წარმოდგენების გასამართავად აბელანისა და არმენიანის მეთაურობით, დიდი შემოსავალი ჰქონია. ორსვე მეთაურს დასისას აბელანს და არმენიანს სუთ თვეში სუთ-სუთი ათასი მანეთი რგებიან მარტო თავის წილად. ნეტა როდისმე ჩვენი დასი ეღირსება ასეთ ჯილდოს ან კი როდისმე გაბედავს და გაემგზავრება ოსმალეთში, სადაც ქართველები ნახევარ მილიონზე მეტია.

◆ ღვეან მეტრეველს დაუწერია ახალი ზიესა 4 მოქმედებიანი დრამა „უეტარი ტაღა“, რომელიც ზოგიერთ ქართულ დრამატულ საზოგადოების წევრთ განუხილავთ და მოუწინებიათ კიდევ.

◆ ამ დღეებში ერთს კერძო კრებაზე წაუკითხავთ ერთი ჩვენი მოღვაწის ვ. რ. ე—ის ახალი ზიესა „სამეგრელოს მთავარი ღვეანი“ რომელიც თურმე დიდის ნიჭით და ხელაგნებით არის დაწერილი და რომელიც ერთ სსუკეთესო ისტორიულ ზიესად უნდა ჩათვალოს ქართულს რეპერტუარშიო ზიესა მლე ტენზურს წარედგინება და შესაძლოა ამ დიდ მარხვამიაც დაიდგას კიდევ ქართულ სტენაზე დრამ. საზოგადოების ფონდის გასაძლიერებლათაო.

◆ ქუთაისის დრამატული დასის ამხანაგობა, შ. და-დაინის მეთაურობით სსმის კვირით გაემგზავრა ბაქოსა

და კავკავში, სადაც ორ-ორ წარმოდგენას გამართავს. საადდგომოდ ისევე ქუთაისში ჩამოვლენ და ჩვეულებრივ წარმოდგენებს გამართავენ.

◆ როგორც ამბობენ ჩვენი ქართული დასი ამ თვის დამლევს ქუთაისში გაემგზავრება ორის წარმოდგენის გასამართავად. წარმოდგენილი იქნება ახალგაზრდა დრამატურგის ზიესა „მეგობრობა“ და იუშეკვიჩის ზიესე „მეუე“.

◆ ქართულ დრამატულ საზოგადოების გამგებას გადაუწვევტია მარტის დამლევს ან აზრილის პირველ რიცხვებში გადაინადოს ქართული სტენის დამსახურებულის მსახიობი ქალის ნატალია გაბუნია-ტავარლისას 30 წლის იუბილე. გამგებას თავის მხრივ აურჩევია სსმი კაცი ნიკ. ერისთავი, გრ. მახაბელი და დავ. ნახუტრიშვილი, რომელთაც დაუალებული აქვთ საიუბილეო პროგრამის და სსვა წვრილმანების შემუშავება.

◆ ქართული სტენის მსახიობს ალ. იმედშვიდს გადაუთარგმნია პროტანგოს ზიესა „ახალი ცხოვრება“, რომელიც უკვე ტენზურას განუხილავს და ამ თვის 25 წარმოდგენილი იქნება კიდევ ქართულს სტენაზე; რალები უკვე განაწილებულია და რეპეტიციებიც იმართება, ზიესის შინაარსი მეტად საინტერესოა.

◆ რადგან ზუბალაშვილის სახლში (სახალხო თეატრი) მარტში უკვე გამართული იქნება ელექტრონის სინათლე. სახალხო წარმოდგენების მართვა ქადაქის გამგებას დაუვალებია რუსულ-რუსულ სექციისათვის, ხოლო ქართული და სომხური ქართულისა და სომხური დრამატული საზოგადოების გამგებათათვის. ხოლო ქართულ დრამ. საზოგ. გამგებას თავის მხრივ სახალხო წარმოდგენების მართვა მიუხდვია ქართული სექციისათვის, რომელიც სახალხო წარმოდგენებს მართავდა ამ სუთმეტი წლის უანმავლობაში ავკალის აუდიტორიაში და რკინის გზის თეატრში.

პროტიქცია

დაჯდაბნე რაც რომ მოგადგეს,
 აგრცელე სხვებზედ ჭირია;
 გაუკითხავათ დაბეჭდვენ
 თუ გწყალობს-რედაქტორია!
 სტენაზედ მალ-მალ გამოდო
 იშოვნე კლათორია,
 და პირველ რალებს მოგცემენ
 თუ გწყალობს რეჟისორია!
 სკოლაში ტუულა იარე
 სტენებში გუავდეს ორია,
 მაინც გადახვალ, მერწმუნე,
 თუ გწყალობს დირექტორია!

სამსახურისთვის ნუ სწყუხარ,
 თუნდ ეგდო წოგორც მძორია,
 წინ მაინც წაწვდ იცოდე
 თუ კი გეავს ზროტექტორია!
 მტუხან მართალი ატყავე
 ქთანებს წაავლე ტორია;
 ვერას გიზამენ, თუ კი ზურგს,
 კიმაგრებს ზროტექტორია!

რაც გინდა სწავლა მიიღო
 გასდე გინდ ზროფესორია;
 სიმშილი მოკვდავს ქუხაში
 თუ არ გეავს ზროტექტორია!
 და ვისაც უნდა ამ ქვეყნათ
 ატაროს ღვინით დრონია,
 ღამაში ცალით ღაქუციით
 მოსძებნოს ზროტექტორია!!

ტ. მარტომყოფელი

ახალი გამოცემა ი. პარაკრითლისა.

ახლად ფეხადგმული, ჯეროდ ნორჩი ქართული მუსიკალური ხელოვნება არც ისე უნუგეშო და უმოწყალოა, როგორც ეს იქნებ ზოგიერთებს გონიათ; მას მოეპოვება ბევრი კი არა, მაგრამ რამდენიმე პირი მაინც, რომელთაც ცხოვრებაში მისი სამსახური და აყვავება დაუსახავთ მიზნათ; ერთი ამათგანი ბ—ნი ილია კაცარეთელია, რომელიც მშობლიურ მუსიკის დღევანდელი სულდგმულობის და, განვიადებათ თუ არ ჩამოგვართევს, ქართულ მუსიკასაც მხოლოდ მისნაირი უანგრო მუშაობა აცხოველებს და ანაყოფიერებს; ეს მთლად განახევრებული კაცი დაულაღავად მუშაობს ქართულ მუსიკის ასაყვავებლად, თითქოს მტერს თვალს უნდა დაუყენოს და უთხრას: რაც მარჯვნივ დავაკეღ ჩემ საყვარელ საგანს, მარცხენას გამოვწურამო. ამ თავ დაუზოგავ მუშაობას აკი თვალსაჩინო ნაყოფიც მოაქვს: ამ კვირას გამოვიდა ცალკე წიგნათ მის მიერ შეკრებილი და ნოტებზედ გადაღებული ხალხური სიმღერები და ლექსები; ეს ნამუშევარი, როგორც ვახუშტისა იყო არა ერთხელ ნათქვამი, ქართულ ეთნოგრაფიულმა საზოგადოებამაც მოიწონა და თავის ხარჯით დაბეჭდა საკუთარ გამოცემაში. ცალკე წიგნათ გამოცემა ამ ნამუშავრისა შესამჩნევად ამდიდრებს ჯერაც ღარიბ სამუსიკო ლიტერატურას, მით უმეტეს, რომ კრებულში შეტანილია ჯერეთ არც დაბეჭდილი და არც ქართულ საზოგადოებისგან მოსმენილი სიმღერები. სიმღერებთა შორის განსაკუთრებული ადგილი უნდა ეჭიროს ილია ჭავჭავაძის სიკვდილზედ ხალხის მიერ გამოთქმულ სიმღერას და ლექსს; ეს ლექსი და სიმღერა ცხად ყოფს, რომ ქართველ ხალხს გმირების ქება არ დაეწყებია, და ილიაც იმ გმირთაგანი ყოფილა, რომელსაც ხალხის გულში მაგრა ქონია ფეხი მოკიდებული. რაც შეეხება ლექსების განყოფილებას, აქ ბევრი იმისთანა ნაწარმოებია დაბეჭდილი რომ არა გჯერა, თუ იგი ხალხურია. ჩვენ არ გვჯერა, თუ ამა და ამ ლექსს ხალხი იტყვია! ეს იმას ნიშნავს რომ

ჯერ კიდევ ვერ ვიცნობთ ჩვენი ერის სულიერ ცხოვრებას. ამ ლექსების კითხვა დიდ სიამოვნებას ბადავს კაცის გულში და გრძობ, თითქოს დაისვენე, ან მეორედ დაიბადო. საერთოდ ეს გამოცემა ფრიად სასიამოვნო მოვლენაა ჩვენ ისედაც უფერულ ცხოვრებაში; ამ წიგნს უნდა ვუსურვოთ გავრცელება და ბ. კარგარეთელს თანაგრძობა და ენერჯია, რომ მისი ზრუნვა და მუყაითობა არ მოკლებოდეს ქართულ მუსიკას, როგორც საერო, — საზოგადო საქმეს. წიგნი მშვენიერ ქაღალდზეა ნაბეჭდი და ღირს 30 კ.

ლია ჟირილი

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ გამგეობას
 მოწყალებო ხელმწიფენო!

იმ „საზოგადოებას“, რომელსაც თქვენ ემსახურებთ, განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ჩვენ საზოგადო დაწესებულებათა შორის.

იგი რამდენათმე ხელს უწყობს ჩვენში უპარტო, საზოგადოებრივ თვითმოქმედების აღმოცენასა, იგი უკვე მეორე თაობას უმტიკიცებს თავის არსებობის უნარსა, მის დამაარსებებს ვრცელი მიზნები ასულდგმულბდათ და ესლაც ქართველი საზოგადოება არ აშორებს ამ დაწესებულებას თავის ტრადიციულ იმედებსა.

ამიტომ ის უღონობა, რომელიც მუდამ თან ახლავს ამ ჩვენს, ასე ვთქვათ, „ერთათ-ერთ“ დაწესებულებას, ტეშმართათ გულსაკლავა... მისი განუდგმული სისუსტე ფერს უკარგავს, ნი:დავს აცლის ჩვენს იმედებს.

სამწუხაროთ, ჩვენი „განმანათლებელი საზოგადოების“ მოქმედება ვერ გასცილებია ნაბეჭდების მოწოდებასა ჩვენს სულიერ შიმშილობაში.

პაწია და მბუტბავი ლამპარი ჩვენი „საზოგადოებისა“ ვერ აბნევს ჩვენს საერთო სიბნელესა, ვერ ანათებს საქვეყნოთ. თქვენ თვითონ შესწუხდით ამგვარ გარემოებით და საჭიროთ სცანით „ახალი სულის ჩაბერვა“ ჩვენს მისუსტებულ საზოგადოების სხეულში...

თქვენი მისწრაფების დასაფასებლად საკმარისია მოვიგონოთ შრომა გამგეობისა ადგილობრივ განყოფილებათა დაარსებისათვის.

ამის შემდეგ, ახალ ინსტრუქციის წარდგენით გამგეობამ თითქო მეორე ნაბიჯიც აღბეჭდა ამ „ახალ გზაზე“ და შეეცადა თავის სექციებისთვის მიენიჭებინა რამდენათმე „თავისუფალი“ ასპარეზი...

თუ არა ვცდები, ამ თავითვე საჭიროა ყოველ ბუნდოვან „სიტყვა-კაზმულობას“ თავი დავენებოთ და პირდაპირ მოგახსენოთ, რომ გამგეობას დაეტყო გავლენა იმ პირთა, რომელთა სმენა მოხიბლულია „დეცენტრალიზაციითა“, მაგრამ მთელი ეს „ახალი კურსი“ მხოლოდ იქნენათ არის გარკვეული და საიმედო, რამდენათაც იგი უახლოვდება იმ უბრალო სურვილს, რომ საზოგადოების მწყობრ მოქმედებაში რაც შეიძლება მეტი წევრი იღებდეს პირდაპირსა, მუდმივსა და ხალისიან მონაწილეობას, რომ საზოგადოების მოქმედება ემყარებოდეს უმთავრესათ თვით წევრთა შრომასა და არა მარტო გამგეობის ან რამდენიმე კაცის გმირობასა და „თავგანწირული სულ ის კვეთებასა“. სამწუხაროთ, ჯერ-ჯერობით ის დალოცვილი „პრინციპი დეცენტრალიზაციისა“ ასე შორს, წვერის პიროვნებამდე, არ მიდის...

სამწუხაროთ, მე მებდება ეჭვი, რომ გამგეობა ვერ ხელდასწავს ამკარათ მიზანსა, უბრალო სურვილს თანამედროვე პრინციპიალურ ბურჟუაზიაში ახვევს, ყოყმანობს და შუა გზაზე ჩერდება. ადგილობრივ განყოფილებათა და სექციების განხილვით უკვე დამთავრებული ჰქონიათ ახალი აგებულობა საზოგადოებისა, მაგრამ ეს დიდი შეცდომაა: ამგვარ წამლობით მისუსტებულ საზოგადოების მიკანვებული არსებობა ვერ აღივსება სიცოცხლითა და ჯანითა. საქირაა საყოველთაო, კოლექტიური გარჯა.

თუ ნებას მომკემთ, პირდაპირ მოგახსენებთ, რომ ჩვენი დაწესებულების მოქმედება ჯერ-ჯერობით არ გასცილებია ყველასთვის ნაცნობ ბურჟუაზიულ ქველმოქმედების ფარგლებსა.

თუ ამგვარ ქველმოქმედებით რამდენათმე კმაყოფილდებიან თავისუფალ და ძლიერ ქვეყნებში, მაინც იქნება თქვენთვის არ უარჰყოფთ, რომ ჩვენ, უძლეურთ, აქ მეტი დაფიქრება და თავის შეწუხება გვამართებს, სხვასთან შედარებით?

„ხერხი სჯობიან ღონესაო“, — ასე ამბობენ და ჩვენთვის ეს ჭეშმარიტება მით უფრო ადვილათ მისახვედრია, რომ ღონე მაინც ხომ არც გვახადია... საუკეთესო, გვეგობით გამოყენება მთელ საზოგადოების ძალისა, ჩაბმა საერთო შრომაში ყოველ წუთისა, — სად არის ყველა ეს, ბატონებო, თუ თქვენ გრძნობთ, რომ საქირაა განსაკუთრებული გარჯა ჩვენს განსაკუთრებულ გაჭირვებაში? დღევანდლამდე, — მოიგონეთ უკანასკნელი საერთო კრება, — კამათი ტრიალებს მხოლოდ და მხოლოდ იმ საკითხის გარშემო, თუ როგორ განაწილდეს შრომა და უფლება გაზგეობასა და მის სექციების შორის, თითქო ამათი მეტი არაფერ იყოს წარმოსადგენი არც მშრომელი და არც უფლების პატრონი!

დიად, რა უფლება და რა შრომა ვარგუნით მთელ გამგეობასა და რა კალო დაუთმობთ მის ნაწილებსა, — ამის გადაჭრასა სცდილობენ ჩვენი ორატორები და ჩვენი პრესა.

მე ვშიშობ, რომ ამ დავაში ყველას არა აქვს ნათელი წარმოდგენა იმ მესამე პირზე, რომელსაც ეკუთვნის უდიდესი უპირატესობა ყოველ უფლებაში და ყოველ შრომაში.

რასაკვირველია, მე მოგახსენებთ მთელ წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაზე და მის წევრებზე, რომელთა არსებობა, სამწუხაროთ, მხოლოდ საერთო კრებაზე მოიგონება ხოლმე ჩვეულებრივ.

მართლაც თქვენ, გამგენი, ასე თუ ისე იყოფთ შრომასა და უფლებასა, მაგრამ ჩვენ, ამ საზოგადოების წევრებს, რაღას გვავალებთ, ან რას გვარგუნებთ?

ჯერ-ჯერობით, ბოდიშს ვიხდი, ისე მიდის საქმე, რომ თხის პატრონს თითქო თხის კუდიც აღარა რჩება, ჩემი ბატონებო.

ჯერ-ჯერობით მხოლოდ ირკვევა, რომ არც ერთ მოკამათე მხარეს არავითარი გარკვეული წარმოდგენა არა ჰქონია ჭეშმარიტად კოლექტიურ, საერთო შრომაზე და უფლებებზე.

მერწმუნეთ, ბატონებო რა ჩემგან შორს არი ვისიმე პირადი საყვედური... არა, მე შემოძლიან მხოლოდ თქვენთან ერთად ვიჩვილო ჩვენი ბედი, რომელმაც ბევრი რამ წავგვართვა და მასთან ერთად — საკუთარი სკოლა და უნარი საკუთარ აზროვნებისა.

უცხო სკოლამ და პრაქტიკულმა ფილოსოფიამ სხვა არა დაგვანახვა რა, ვადაუტრელ „პრობლემებისა“ და შეუ-

რიგებელ ვითომდა „პრინციპების“ შეხოის გარდა. ბუნდოვანი საკითხები, აწირებული გამოცანები აჩვენენ პარტიულ კამათსა და უგზო-უკვლობას.

ერთი ამისთანა აწირებული გამოცანა, ერთი ამისთანა გადაკიდებული წყვილი „სიმართლე“ ათამაშდა უკანასკნელ საერთო კრებაზეც: „ცენტრალიზაცია“ დაეტაკა „დეცენტრალიზაციას“...

ნურაფერ გვისაყვედურებს, თუ ამის გამო ჩვენ ბედნერათ ვერ ვივრძენით ჩვენი თავი, თუ ჩვენ რაიმე ეჭვი გვაბადება იმის გამო, რომ ხალხის გაჭირვებას ინტელიგენტურ ფრაზებითა და გაურკვეველ „პრინციპების“ ბურჟუაზიული ტრიალით ეშველებოდეს რამე...

მაგრამ ჩვენ სრულებითაც არ გვესაჭიროება ბანზე აგდება რომელიმე სიტყვისა და არც რაიმე კომპრომისის გეწადიან: პირიქით, ჩვენ ურჩევთ ორთავე მხარეს თავი შეიწუხოს და ბოლომდის მიიყვანოს თავისი აზრი, მაშინ გაჭიკება მათი წინააღმდეგობაცა.

ასე ჩემო ბატონებო, თუ საქირაა მაგალითი, დიდი და პატარა ლიხვი განშორდებიან ერთმანეთს მხოლოდ იმ სოფლამდე, რომელსაც შერთული ჰქვია.

პირად ჩვენ უკვე ამ სოფელში, მშვიდობიან ბარში ვგრძნობთ ჩვენ თავსა, და შორეულ, მთიულ ზღაპარივით გვაგონდება ის მოუსვენარი მიმდინარეობა აზრისა და ის დრო, როდესაც ჩვენთვისაც არსებობდა წინააღმდეგობა თავისუფლებისა და რიგისა, პიროვნებისა და საზოგადოებისა თავისებურებისა და მთლიანობისა. ამიტომ, რადგანაც ჩვენთვის საერთო, გვეგობით, საზოგადოებრივი შრომა არა თუ არ ეწინააღმდეგება, არამედ პირდაპირ ნიშნავს საყოველთაო, პირადსა და თავისუფალ შრომასა, ნება მიბოძეთ პირდაპირ ამ საერთო გარჯის აუცილებელ, ძირითად პირობებზე მოგახსენოთ: ამ სასურველ პირობების შექმნა თქვენ ხელთ არის რამდენათმე.

ხალხი, ჩემო ბატონებო, იმიტომ იკრიბება თქვენს გარშემო, რომ სურს გაიგოს, რითი და როგორ მოხერხდეს ქვეყნის სარგებლობა.

ჩვენ ყველანი იმიტომ ვირიცხებით ამ „საზოგადოების“ წევრათ, რომ თქვენ ჩვენი ღონე საქმისთვის გამოიყენოთ. აშკარაა ჩვენი სურვილი.

ამის პასუხად თქვენ რომელ აშკარა გზას გვიჩვენებთ ვალის მოსახდელათ?

ფრაზებს რომ თავი დავენებო, არავითარს, ჩემო ბატონებო, ამის გარდა: წელიწადში ერთხელ საწევრო ფული გადაიხადე და, დაახლოებით, წელიწადში ერთხელ საერთო კრებაზე მობრძანდით სალაპარაკოთა...

ეს არი განა ჩვენი საქმე, სხვა არაფერი? იქნება თქვენ კეთილ ინებოთ და საქირათ დაინახოთ უფრო ვრცელი გეგმა ჩვენ საყოველთაო მონაწილეობისა საერთო საქმეში?

ნუ თუ მართლა, ბატონებო, ჩემი საზოგადოებრივი მოვალეობა (მერე ხალხურ ცოდნის საქმეში!) ასე ადვილათ, მაგალითად, „სამშენაითიანი“ გადაიხდება?

და მეორე მხრით, ნუ თუ ჩემი ხმის უფლება, უფლება მომხმენისა, ურომლისათ ჩვენ შორის არაფერია საერთო, ურომლისათ შეუძლებელია რაიმე აღმაშენებელი კავშირი, რაიმე „საზოგადოება“, — ნუ თუ ეს ჩემი ძირითადი უფლება წლიურ კრებაზე კენჭის მიჩეჩებით დაკმაყოფილდება?!

ეს ფრაზაა, ვითომ მე ეხლაცა მაქვს სიტყვის უფლება, რადგანაც ეს „უფლება“ თავის თავით გარაშათ არა ღირს ჩვენთვის, წევრების უმრავლესობისათვის!

ეს ფრაზაა, ვითომ მე მაქვს უფლება, როგორც წვევს, რაიმე ხმა ამოვიღო, რადგანაც არაფერ არი მოვალე ჩემ სიტყვას ყურადღება მიაქციოს.

მე შემოდინ ვილაპარაკო, შემოდინ ვწერო, მაგრამ სამაგიეროთ თქვენც შეგიძლიანთ, ჩემ ბატონებო, თავი არ შეიწუხოთ იმის გასაგებად, რას ამბობს და რასა სწერს თქვენი მორჩილი ყმა!

რაში მინდა ამისთანა უფლება და სად არი აქ უფლება, თუ თქვენი ყურადღება ჩემდამი მხოლოდ განსაკუთრებულ ბედნიერებაზე ყოფილა დამოკიდებული?

უეჭველ სიმართლეა, რომ ჩვეულებრივ აქციევნ ყურადღებას მხოლოდ ეგრეთ წოდებულ „გამოჩენილ მოღვაწის“ აზრსა და ხშირათ მხოლოდ იმდენათ, რამდენად ეს აზრი მსმენელის საკუთარ „მადრეკილობას“ თუ გემოვნებას ეალერსება.

რა შუაშია აქ საყოველთაო ხმის უფლება? რა საღსარი რჩება კოლექტი აზროვნებასა?

ეს არი საერთო სენი თანამედროვე საზოგადოებრივ მოღვაწეობისა: ჩნდება ულონო, ვიწრო წრე, იხადება რაღაც თავისებური ცრუ-არისტოკრატიული კასტა პროფესიონალურ „საზოგადო მოღვაწეთა“, ერთი და იგივე პირნი წლითი-წლობით რაღასაც ცოდვილობენ საზოგადო საქმის ყოველ დარგში და უდიდეს ხალისით ეწევიან ტკბილ საუბარსა ერთმანეთთან....

მე აქ არავის გულწრფელობისა და პირად თავდადების დამცირება არა სწადიან, მაგრამ რა შუაშია აქ, რა ადგილი რჩება ამ საცოდავ ფათურში მთელ საზოგადოების დიდებულ უნარსა?

თქვენ, ბატონებო იქნება გსმენიათ რაიმე იმ უთვალავ პატიოსან და მცოდნე კაცებზე, რომელნიც შინ, ჩუმით იკლავენ თავის საზოგადოებრივ ტკივილსა და ფიქრსა, ხოლო გარეთ, საქვეყნოთ გამოსვლას და ხმის ამოღებას კი ერიდებიან?

დღეს საზოგადოებას ხმა არა აქვს საზოგადო საქმეში — ეს ფაქტია, ახირებული და საბედისწერო! საქვეყნოთ ხმის ამოღებას დღეს, ჭეშმარიტად, კი „თავზე ხელაღებულობა“ უნდა: მეტად დიდია შიში და მოლოდინი უყურადღებობისა, გაუგებრობისა, „მეტეირობაში“ ჩამორთმევისა, საქვეყნოთ შერცხვენისა...

თქვენ თვითონ მოგვხსენებთ, რომ ჩვენს დროში ძნელია, ნორმალურ გზით, მოპოება „დანათლებულ პუბლიკის ყურადღებისა, მეტადრე იმ შემთხვევაში, როცა ეს ყურადღება საჭიროა უმაღლ, რაიმე ცოცხალ საქმისთვის. დღევანდელ პირობებში ავისთვის საჭიროა, მეტათ თუ ნაკლებათ, ხმა მალა ყვირილი, და რადგანაც ყველა ვერ იკადრებს ამ საქვეყნოთ ღრიალსა და სკანდალსა, ამიტომ ნამდვილათ საზოგადოება შინა ზის, სდუმს, და ისმის ხმა მხოლოდ „თავზე ხელაღებულობა“, — რასაკვირველია, სხვა და სხვა მიზნით და სხვა და სხვა ღირებულობის მისწრაფებით, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება: საზოგადოება სდუმს, საზოგადოება მკვდარია!

ამ უსიცოცხლობას არა ეშველება რა, მინამ არ იქნება მზრუნველ-ყოფილი საყოველთაო, პირადი შრომა და უფლება, მინამ არ მივაგნებთ საერთო მოქმედების აუცილებელ პირობებსა, მის ტენიკურათ მოწყობასა.

ამის შემდეგ, ბატონებო, თქვენ იქნება ალარე ისე იუცხოვოთ ეს ჩემი ქვემო აღნიშნული წინადადება. მე ვფიქრობ, რომ გამგეობის ინსტრუქციაში უნდა იყოს ჩამატებული ეს ორი მუხლი:

წვევთა შრომა უფლება.

1.—ყოველი წვერი მონაწილეობას იღებს ხალხურ ცოდნის წარმატებაში, და ეს საყოველთაო გარჯა სწარმოებს გამგეობის გვერდით და ხელმძღვანელობით.

2.—ყოველ წვევს უფლება აქვს მოითხოვოს, რომ მისი წინადადება, რამდენადაც იგი შეეხება „საზოგადოების“ დანიშნულებას, იყოს მოსმენილი, შეთვისებული და მხედველობაში მიღებული გამგეობის მიერ აუცილებლათ, ხოლო საჭიროებისამებრ და შეძლებისამებრ — მთელ „წერა კითხვის გამავრცელებელ საზ.“ მიერ.

მე ვიცი, ბატონებო, რომ მრავალგვარი ეჭვი დაგებადებთ ამ წინადადების გამო და ვგონებ, რომ წინდაწინვე მაქვს ყოველმხრივ ნაანგარიშევი თქვენი აუცილებელი ყოყმანი, მაგრამ, სხვათა შორის, ნუ იუჯნოვებთ ჩ მს წინადადებას მხოლოდ იმიტომ, რომ ის ნაბიჯი, რომელიც მე მსურს თქვენ გადავადგმევინოთ, ჯერ არ არის, თითქო, ნაცადი არსადა... აგრეთვე არსად გამოუცდიათ, ბატონებო, ის პირობანი, რომელშიც ჩვენ ვიმყოფებით და არავის თავზე არ დახჩხავის შავი ყორანი ისე დაყინებით, როგორც ქართველ ხალხსა.

და იქნება თქვენ თვითონ იგრძნოთ, რომ ჩვენ გვაქვს უფლება თავისებურათ ხმის ამოღებისა, რადგანაც მეტად ახირებულია ჩვენი სასტიკი მდგომარეობა: ჩვენ გვიხდება ბრძოლა არსებობისთვის — უკაცოთ, შექმნა საკუთარ სკოლისა-უმეცნიეროთ, შექმნა მეთრნებისა — უთავნოთ, შექმნა ახალ საზოგადოებრივ ფორმებისა — უუფლებოთ.

შეძლებთ თუ არა? — ანას ვინ გვეკითხება, როდის უკითხავს ჩვენ ბედსა, რა შეგვეძლო და რა არა?

და იქნება ამ ჩემს ახალ წინადადებაში თქვენ მოგესმით ის უბრალო, მეტად ნაცნობი ძველი სიტყვა, რომელიც საუკუნოობით გაისმოდა ჩვენს ქვეყანაში: „ქუღზე კაცია“...

ამ სიტყვას შეგვაჩვია ჩვენმა ისტორიულმა ბედმა, კვლავ საჭიროა, ბატონებო, ქუღზე კაცი, და მთელი ეს ჩემი წინადადება მხოლოდ აქ საყოველთაო გარჯისათვის საჭირო პირობებზე მოგახსენებთ, სხვა არაფერსა. ისევე საჭიროთ ხდება ერთსულოვნება და იგი დღეს მხოლოდ ასე მოხერხდება: უნდა ვცნათ, რომ საზოგადოების ყოველ წვევს აქვს უფლება მოსმენისა და ფაქტიურათ უნდა უზრუნველყოთ ეს უფლება. მაშინ ყველანი გამოვლენ და შეადგენენ გვერდს საყოველთაო გარჯისას. და ვინ იცის, რა ახალსა და სიმძელ კილოს შეიტანს აწნაირი მაგალითი „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა“ მთელ ქართველ საზოგადოების ცხოვრებაში!

მერწმუნეთ, რომ სწორეთ იმ უხერხულ მდგომარეობაში, რომელშიც ვარდება ყოველი უბრალო ადამიანი, როდესაც იგი თხოულობს სიტყვასა და მთელი მისი არსება კი გამოუთქმელ დარცხვენით თხოულობს პატიებასა „მეტეირობისათვის“, — სწორეთ ამაშია ფარული ძალა და ბურჯი როგორც რეაქციონულ არისტოკრატიზმისა, ისე თავგასულ დემოკრატიისა: ნაწყალობევი ყურადღება ამახინჯებს ხალხურ სიტყვას!

არსებობენ „უმალესათ განათლებულნი“, რომელნიც თავის თავს ჰგონობენ პროგრესის მეგობრებდა, და უწოდებენ თავის თხვს „დემოკრატის“ სახელსა, მაგრამ როდესაც ჩვენ გვქონდა შემთხვევა მოგვეხსენებინა იმათთვის, რომ უფლება მოსმენისა, ყურადღებისა ყველას უნდა ეკუთვნოდეს რომ უამისოთ უფლება სიტყვისა უშანაარზო ეჭახად გვე

მ ი ხ ვ ლ ა...



მღვდელი.—...სხლა რაღა გვეშეულება, ასე რომ გვედგინან?

გლეხი.—მა რა გეგონა? ამოდენა ხალხს რომ აწუხებ და დრამის ფულს ახდევენებ, რუსთა ხემწიფე გაგიშვებდა?

ჩვენება, მაშინ ბავშური განცვიფრება და აშინი პასუხი დაგვდრია: ყველა სისულელეს ვერ მოვისმენო.

„განათლებულებს“ ავიწყდებათ, რომ სწორედ იმის გასაგებად, სისულელეს ლაპარაკობს ადამიანი თუ სიბრძნისა, უნდა მაინც შესწუხდე და მოისმინო, სხვა გზა არ არის...

ეს ნაბიჯი, ეს ახალი „დეკლარაცია“ სამუდამოთ ჩამოგაშორებთ, ბატონებო, ყოველ ცრუ მთქმელსა ძმობისა და თავისუფლებისა:

თქვენსა და მათ შორის აშკარა ხაზი იქნება გავლებული, რადგანაც არც ერთი ცრუ-ლიბერალი და ცრუ-დემოკრატი, არც ერთი ოპოზიციონერი ხალხურ ნებისა არ ინდომებს ხალხისთვის მოსმენის უფლებასა და მის განხორციელებისთვის თავს არ შეიწუხებს, რადგანაც კოლექტიურათ მოფიქრებული ხალხური სიტყვა ძირს დასცემს ყოველ ცრუ-ინტელიგენტურ ყბედობასა და მწიფეობობასა.

მე მესმის, ბატონებო, რა მძიმე ტვირთი ემატება ჩემ წინადადებით თქვენს უანგარო და მაღალ შრომასა, მაგრამ ქართველ საზოგადოების მოღიანობას საძირკველი უნდა ჩაეყაროს აუცილებლათ და, ვინ იცის, იქნება სწორეთ თქვენის ხელით, ბატონებო, თუ თქვენ უარს არ იტყვით ამ საპატიო და მშვენიერ მოვალეობის ასრულებასზე.

თქვენი ზატვიისმტემელი.

რამანი

3915
1909

„რ ე ჯ ი ნ ო“-ს
რომელ მხარესაც შევეხო, ყოველ მხრით ხარ საქებარი, შენებრ ტურფა ქალიშვილსა ცოტას იცნობს მთა და ბარი! სამშობლო რომ აგრე გიყვარს მისთვისა ხარ შესაყვარი— ეჰ, იცოცხლე ტურფა ქალო და გამრავლდეს შენი გვარი!

ლ. ჯაგრელი

რა არის სიმბოლიზმი?

(ახსნა მეოცე საუკუნეში მცხოვრებ ქალისა)

ორი შეყვარებული მიდიან მატარებლით და ვინ იცის რეებს არ ლაპარაკობენ: შეყვარებულთ გარშემო ამხანაგები ახვევია. ჩამოვარდა ლაპარაკი „სიმბოლიზმზე შეყვარებული ვაჟი ეკითხება ქალს; აბა თუ ამიხსნი“?

ქალი სიმბოლიზმი... ჰმ! სიმბოლიზმი...

ეს ...ჰმ! აი მაგალითად შენ გიყვარს ქალი, ქალს უყვარხარ შენ დაშორდებით ერთმანეთს იტანჯებით, დაუახლოვდებით მაინც იტანჯებით. აი ეს არის სიმბოლიზმი.

საკანსუხო გამოცანები

ეს საბრალო კუტრუსები რას ჩადიან არ იციან, ვითომ ჩვენი შესაბღალად ტლინკებისა წიხლს ისვრიან!..

ატეხილი ძაღლებივით მოდებიან სუფთა ქუჩებს, უწმაწურის ჩვეულებით ყველგან ჰყოფენ ცხვირს და ტუჩებს!

განა გახსოვთ რომ ოდესმე გეთქვათ აზრიანი სიტყვა, რატომ ერთხელ ვერ აღძარიტ ცხოველ საზოგადო კითხვა?

მეტჩრობის, სხვების გმობის გაგიმართავს დიდი დოლი, ქანც გაწყვეტით მისთვის ხტიხარ ჯილდოთ რომ გაქვს სომხის „ფოლი“!...

მონადირე

გამომცემელი ტასო გუნია.